



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია



დასკვნა:დ03.37203591

თარიღი:28/12/2020

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის

საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 24 დეკემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი. კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების, წინადადებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების სხდომაზე განხილვისა და შეჯერების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, რომელიც განისაზღვრება 25 104.0 ათ. ლარით.

1. ბიუჯეტის შემოსულობები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 25 104,0 ათასი ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლებში დამატებული ღირებულების გადასახადის სახით განსაზღვრულია შემოვიდეს 14818,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსავლებში ქონების გადასახადი გათვლილია შემოვიდეს 7 000,0 ათასი ლარის ფარგლებში.

ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები გაანგარიშებულია 2 640,4 ათას ლარზე, მათ შორის:

- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი 250,4 ათ. ლარი;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 300,0 ათ.ლარი,
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 600,0 ათ.ლარი.

· ჯარიმები, სანქციები და საურავები 1 200,0 ათასი ლარი,

· მშენებლობის ნებართვისათვის 150,0 ათ. ლარი,

· სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 120,0 ათ. ლარი,

· არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 20,0 ათ. ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებაში 395.0 ათასი ლარია გათვალისწინებული, აქედან:

· მიწის გაყიდვიდან - 345.0 ათასი ლარი.

· ძირითადი აქტივების კლება - 50.0 ათ. ლარი;

პროექტით გათვალისწინებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერის გამოყოფა (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) - 250,0 ათასი ლარი.

2. ბიუჯეტის გადასახდელები:

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების თანამდებობრივი სარგოების, საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვისათვის საჭირო თანხებზე. არსებული რესურსებიდან გამომდინარე გადასახდელები გათვლილია სულ 25104,0 ათას ლარზე, აქედან:

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე დაიხარჯება 5 313,7 ათასი ლარი, მათ შორის:

წარმომადგენლობითი ორგანოების შენახვაზე 1 150,0 ათასი ლარი, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლში 808,4 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლში - 202,8 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 118,8 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა -20.0 ათ. ლარი.

აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე - 3 440,0 ათასი ლარი, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლში 2 629,0 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლში - 761,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 50,0 ათ. ლარი.

სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 350,0 ათასი ლარით;

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს

გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 230,7 ათ. ლარი;

თავდაცვის ღონისძიებებზე - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე დაიხარჯება 143,0 ათ. ლარი.

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2 900,0 ათ. ლარი;

პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე 5588,3 ათასი ლარია მიმართული, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის - 390,0 ათ. ლარი;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის - 2798,3 ათ. ლარი;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 1 050,0 ათ. ლარი;
- საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურება - 650,0 ათ. ლარი;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები - 500,0 ათ. ლარი;
- ბინათმშენებლობა - 200,0 ათ. ლარი;

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება 4 650,0 ათასი ლარი,
 აქედან: ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს სუბსიდირებაზე - 4 500,0 ათასი ლარი, ხოლო ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებაზე - 150,0 ათასი ლარი.

კულტურის და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 4 856,0 ათასი ლარის ხარჯის გაწევა.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 1796,0 ათასი ლარით დაფინანსდება,: აქედან:

- საზოგადოებრივ ჯანდაცვას მოხმარდება 157,0 ათასი ლარი;
- სოციალური ღონისძიებები 1639,0 ათასი ლარი;

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია: აღნიშნული საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვა დამტკიცების მიზნით.

გიორგი ჩაგანავა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

